K 35·838
2

თეატრის გიგლიოთეკა

ბეჭან ნაკაიძე

ევტროფი თაღაკვაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისი
1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

1993-2000
შეფასებულია

სერიის რედაქტორი — სიკო ვადაჭკორია

... „თეატრში ხალხის სიყვარულმა მიმიყვანა. თვალსაჩინო მსახიობი არასოდეს ვყოფილვარ, არც ახალგაზრდობაში და მით უმეტეს მოხუცებულობაში, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით მე მაინც საჭირო ვიყავი თეატრისათვის ისე, როგორც ჯარისკაცი არმიაში“ — თქვა თავმდაბლობით უკვე მხცოვანმა მსახიობმა ევტროფი თალაკვაძემ თავის საიუბილეო საღამოზე, რომელიც მახარაძეში გაიმართა 1955 წლის 18 დეკემბერს.

მართლაც, თუ თვალს გავაყოლებთ ევტროფი თალაკვაძის მიერ ექვსი ათეული წლის მანძილზე გაწეულ შემოქმედებით მუშაობას, დავინახავთ, რომ იგი გამსჭვალულია ხალხისადმი უანგარო სიყვარულით და თავისი საქმის ღრმა პატივისცემით. იგი სავსეა დაუცხრომელი შრომით, მუდმივი ძიებით, უამრავ სიძნელეთა გადალახვით.

ევტროფი თალაკვაძე სამოცი წელი უმწიკვლოდ, გატაცებით ემსახურა ქართულ თეატრალურ ხელოვნებას და თავისი ნაყოფიერი შემოქმედებით გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული თეატრალური კულტურის საგანძურში. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ევტროფი თალაკვაძე ერთ-ერთი წარმომადგენელია თეატრალური ხელოვნების იმ ბრწყინვალე თაობისა, რომლებიც მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე, თავიანთი შესანიშნავი ხელოვნებით, საფუძველს უყრიდნენ რევოლუციურ-დემოკრატიულ რეალისტურ ხელოვნებას საქართველოში.

სასცენო ხელოვნებას ევტროფი თალაკვაძე ეზიარა ცხრა-

ასიან წლებში, როცა საქართველოს მუშათა კლასი გატაცებით ეწაფებოდა ცხოველმყოფელ რევოლუციურ იდეებს, ამ დროს მუშების მიერ შემდგარი დრამწრეები დგამდნენ სოციალურ მოტივებზე აგებულ პიესებსა და ინსცენირებებს, რომლებითაც მშრომელ ხალხში აღვივებდნენ არსებული წესწყობილებისადმი შეურიგებლობისა და უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის სულისკვეთებას.

თეატრი იმ დროს ერთადერთი კულტურის კერა იყო, ხოლო სცენა ტრიბუნა, სადაც საღ, დემოკრატიულ აზრებსა და იდეებს ქადაგებდნენ.

ევტროფი ელიზბარის ძე თალაკვაძე დაიბადა 1881 წელს, გურიაში, სოფელ მთისპირში (მახარაძის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. სიღარიბეს ისიც ამძიმებდა, რომ ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. ელიზბარსა და მის მეუღლე ნატალიას 12 შვილი ჰყავდათ, 11 ვაჟი და ერთი ქალი, ევტროფი მესამე შვილი იყო.

ღარიბ გლეხს უჭირდა მრავალრიცხოვანი ოჯახის რჩენა, სწორედ ამიტომ უფროსი შვილი გიორგი ბაქოში წავიდა სამუშაოდ. იქ ერთ-ერთ მუშათა რაიონში მოეწყო და იქიდან ეხმარებოდა ოჯახს. ევტროფის ძმამ, რევოლუციონერმა გიორგი თალაკვაძემ გარკვეული წვლილი შეიტანა ბაქოს მუშათა მოძრაობაში. იგი ცნობილი იყო, როგორც დიდი კონსპირატორი და მძიმე დავალებების შემსრულებელი. დავალებების შესრულებაში იგი თავის დას ალვასისაც იყენებდა.

ცნობილი რევოლუციონერი ქალი, პერსონალური პენსიონერი ალვასი თალაკვაძე – ამჟამადაც ცოცხალია, ცხოვრობს ქალაქ ბათუმში, იგი 76 წლისაა, მაგრამ კვლავ მხნედ გამოიყურება.

ევტროფი თალაკვაძემ სოფლის ორკლასიანი სასწავლებელი დაამთავრა და ბედის საძიებლად ბათუმს მიაშურა. აქ როტშილდის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ამ დროს ბათუმში როტშილდის, რიხნერის, მანთაშევისა და სხვა ქარხნებში თავმოყრილი იყო გურია-სამეგრელოს ახალგაზრდობა. ეს არის ცხრაასიანი წლები, როცა ბათუმის მუშათა კომიტეტი, რომელსაც სოსო ჯუღაშვილი ხელმძღვანელობს, გაცხოველებით მუშაობს მუშებში რევოლუციური იდეების შეტანისა და თვითშეგნების ამაღლებისათვის. ამ მიზნით აყალიბებენ საკვირაო სკოლებს, ლიტერატურულ და დრამატულ წრეებს. ერთ-ერთ ასეთ დრამწრეს, რომელიც მუშებისაგან შედგებოდა, ხელმძღვანელობდნენ — მწერალი და დრამატურგი დავით კლდიაშვილი და ცნობილი რევოლუციონერი, შემდეგში „ციმბირის პაპად“ წოდებული ნესტორ კალანდარიშვილი. სწორედ ამ წრეში იწყებს მუშაობას ევტროფი თალაკვაძე. მისი პირველი სცენური ნათლობა ვალერიან გუნიას პიესით „და-ძმით“ დაიწყო. დავით კლდიაშვილის რეჟისორობით იგი ასრულებს პირველ როლს — ოტია ჯოლიას.

ვინც სასცენო ხელოვნებასთან ახლოს არის, ცხადია, გაიგებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მსახიობისათვის პირველ როლს და ისიც დიდი წარმატებით შესრულებულს. „იქნებ ჩემი ცხოვრების მიზნად მსახიობობა არ ამერჩია, რომ პირველი როლი წარუმატებლად შემესრულებინა“, — იგონებდა შემდეგში ევტროფი. პირველ დიდ წარმატებას სიხარული და წარმატებები მოჰყვა: აკ. წერეთლის „პატარა კახში“ — პატარა კახი, დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერებაში“ — ფილიპე ბარბაქაძე და სხვა. 1902 წლამდე

იმუშავა ევტროფი თალაკვაძემ ბათუმის მუშათა დრამწრეში და ცამეტამდე მთავარი თუ ეპიზოდური როლი შეასრულა.

ქართული კულტურის დიდი მოამაგე დავით კლდიაშვილი დიდად გაახარა ევტროფი თალაკვაძის წარმატებამ და მას, როგორც მსახიობს, დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. მართლაც, ევტროფიმ ცხოვრების მიზნად მსახიობის მეტად ძნელი და მაშინდელ დროში ნარ-ეკლით მოფენილი გზა აირჩია.

1902—1905 წლებში ევტროფი თალაკვაძე ქუთაისშია, მაგრამ უკვე როგორც ნოქართა დრამწრის მსახიობი და ხელმძღვანელი. იგი ქუთაისის მშრომელი საზოგადოებისათვის იაფფასიანი ბილეთებით მართავს წარმოდგენებს, რისთვისაც ქალაქის თვითმმართველობის წინააღმდეგობას აწყდება, მაგრამ დიდი დავისა და წვალების შედეგად აღწევს წარმოდგენების გამართვის უფლებას.

ევტროფი თალაკვაძის, როგორც მსახიობის ჩამოყალიბებაში, დიდი როლი ითამაშა ლადო მესხიშვილის დასმა, რომელიც იმ დროს ქუთაისში მოღვაწეობდა.

„როგორც კი დროს ვიშოვიდი, გავრბოდი, რომ დავსწრებოდი ლადო მესხიშვილის რეპეტიციებსა და სპექტაკლებს და მათ საშემსრულებლო ოსტატობასა და ტექნიკას, — როგორც სკოლაში გაკვეთილებს, ისე ვისმენდი“, — იგონებდა ევტროფი.

ქუთაისში ევტროფიმ რამდენიმე სპექტაკლი დადგა: „მეზობლები“, „ორი მშიერი“, „ოინბაზი“, „ოთხი იმერელი“ და სხვა.

1905 წლის რევოლუციის მრისხანე დღეებში ევტროფი თალაკვაძე ძმის — გიორგის მიწვევით, ბაქოში ჩადის. იგი მუშაობას იწყებს რკინიგზის დეპოს თეატრში, სადაც ქართულ

წარმოდგენებს მართავდა ბაქოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დრამწრე. ძმის მეშვეობით ევტროფი ეცნობა ბაქოში მომუშავე ქართველ რევოლუციონერებს: ალიოშა ჯაფარიძეს, ამო იტრიევს, გიორგი რთველაძეს და სხვა.

ამ დროს წარმოდგენების გამართვის ძირითადი მიზანი იყო მუშათა შორის რევოლუციური განწყობილების შექმნა და სწორედ ამ მიზნით ზედიზედ დგამენ სოციალურად მძაფრ თემებზე აგებულ პიესებს: „ქოხში“, „არსენა“, „პეპო“, და სხვა.

ევტროფი ყველა წარმოდგენაში მთავარ როლს ასრულებს და საზოგადოების დიდი სიყვარულით სარგებლობს.

დამარცხდა ცხრაასხუთი წლის რევოლუცია. რეაქციის შავმა აჩრდილმა გადაუარა რუსეთის მთელ იმპერიას, აიკრძალა და დაიხურა საღი, დემოკრატიული აზრის მქადაგებელი ყველა დაწესებულება.

დაიწყო მძიმე რეპრესიები, რეპრესიაში მოყვა ევტროფი თალაკვაძეც. მას, როგორც რევოლუციურ წრეებთან დაახლოებულ პირს, აპატიმრებენ ალიოშა ჯაფარიძესთან და ამო იტრიევთან ერთად. „ვიტეს კონსტიტუციამ მიხსნა პოლიციის კლანჭებიდანო“, — იტყოდა ხოლმე ოხუნჯობით ევტროფი, იგი ხომ საოცრად ენამახვილი იყო. განსაკუთრებით უხდებოდა უცნაური სიცილი, რომელსაც თავის ოხუნჯობას მოაყოლებდა ხოლმე.

ევტროფი თალაკვაძე, როგორც ეჭვმიტანილი პიროვნება, იძულებულია დატოვოს ბაქო და სიხარულით მოაშურებს ისედაც მონატრებულ მშობლიურ საქართველოს.

1907 წლიდან ევტროფი მუშაობას იწყებს ჭიათურის მუშათა თეატრში. ამ დროს ჭიათურის თეატრს ხელმძღვანელობ-

და ვასო ურუშაძე. 1912 წლამდე მოღვაწეობდა ევტროფი თალაკვაძე ჭიათურის თეატრში და ამ ხნის მანძილზე განუსახიერებია: ხიმშიაშვილი — „სამშობლოში“, ასლავსენი — „ექიმ შტოკმანში“, არსენა — „არსენაში“, გაბრო — „ბატონი და ყმაში“, ოპიმი — „კაი გრაკხში“, ბაგრატი, — „ფული და ხარისხში“ და სხვა.

ევტროფი მუდამ დიდი სიყვარულით იგონებდა ხოლმე ჭიათურის თეატრში გატარებულ წლებს და განსაკუთრებული ოხუნჯობით ჰყვებოდა ერთ მეტად მნიშვნელოვან ეპიზოდს ჭიათურაში მოღვაწეობიდან.

„მახსოვს დავდგით ივანე გომართელის პიესა „წამხდარი სისხლი“. ეს პიესა აკრძალული იყო ცენზურის მიერ. დავწერეთ აფიშა და „წამხდარი სისხლის“ მაგიერ ჩავწერეთ ერთი ნებადართული პიესის სახელი და წარვუდგინეთ ზესტაფონში მაზრის უფროსს ნებართვისათვის. მაზრის უფროსმა გადაშალა ნებადართულ პიესათა კატალოგი და რაკი ჩვენს მიერ წარდგენილი პიესის სახელი ამოიკითხა, დაგვრთო ნება და დავბეჭდეთ აფიშები. უკვე ვთამაშობთ პიესას „წამხდარ სისხლს“, ბოქაული ფილიპე კედია ზის პირველ რიგში და ვერ ისვენებს, ხან ადგება, ხან დაჯდება, შფოთავს, ხტის, ცმუკავს, საშინელ მღელვარებას განიცდის. მეორე თუ მესამე მოქმედების შემდეგ ველარ მოითმინა და ამოვიდა სცენაზე. რა დარწმუნდა იმაში, რომ აფიშაში გამოქვეყნებული იყო სხვა პიესა და ჩვენ კი სინამდვილეში სხვას წარმოვადგენდით, დაგვიხურა ფარდა, წარმოდგენა მოგვიხსნა, მოგვისვა ხელი და წაგვიყვანა პოლიციის საპატიმროში. იმ ღამეს იქ გავათენეთ და, ვინ იცის, რა ბედი გვეწვეოდა, რომ მეორე დღეს შემთხვევით არ მოსულიყო ჭიათურაში ცნობილი მსახიობი და დრამატური-

გი შალვა დადიანი. შალვას გაეგო ჩვენი ამბავი და საჩქაროდ ამოვიდა პოლიციაში. მანამდე ვერავითარმა თხოვნამ ვერ მოულბო კედიას გული, მაგრამ როგორც კი მოვიდა შალვა დადიანი და თავისებურად — დარბაისლურად გაესაუბრა, მყისვე მოიხარა წელში ბოქაული კედია და მოწიწებით მოახსენა შალვას: „თუნდა დავიღუპო სამუდამოდ, მაინც ვერ გაგაწბილებ, ბატონიშვილო“ და გაგვანთავისუფლა ყველანი; მაგრამ მე, როგორც მთავარი როლის შემსრულებელი, ამითვალწუნა კედიამ, გასაქანს არ მაძლევდა, ჩემი იქ დარჩენა ალარ შეიძლებოდა და დავტოვე ჭიათურა“.

სწორედ ამიტომ იყო, რომ 1913 წლიდან ევტროფის კვლავ ბაქოში ვხედავთ ქართული დრამატული წრის მსახიობად. ამ დროს ეს წრე საკმაოდ ძლიერი ძალებისაგან შედგებოდა, აქ მოღვაწეობდნენ: ძმები ახობაძეები, ძმები მატარაძეები, მიხელი ქორელი, ცალკეულ წარმოდგენებში მონაწილეობას ღებულობდა ლადო მესხიშვილი და სხვები.

ხუთი წელი დაჰყო ევტროფიმ ბაქოში. იგი გატაცებით მუშაობდა ბაქოს ქართულ დასში და პარალელურად ხელმძღვანელობდა მუშათა დრამწრეებს ბალახანში და ბალაჯარაში.

ბაქოში მოღვაწეობის პერიოდიდან განსაკუთრებული მღელვარებით იგონებდა ევტროფი გამოჩენილ ქართველ მსახიობ ლადო მესხიშვილთან შეხვედრას. ბაქოს ქართველ საზოგადოებას ლადო მესხიშვილი მიუწვევია ვიჩენციო მონტის „კაი გრაკხში“ გრაკხის როლის შემსრულებლად. აღნიშნულ პიესაში ევტროფი ოპიმის როლს ასრულებდა. „არასდროს წრეს გადასული მღელვარება არ ვიცოდი, იმ დღეს კი მღელვარებისაგან ადგილზე ვერ ვჩერდებოდი. დამთავრდა სპექტაკ-

ლი, ლადო დიდი ოვაციებით გაიძახეს სცენაზე, ტაში არ წყდებოდა, ლადომ ყველა მონაწილე გაიწვია სცენაზე — მე მკლავში მომკიდა ხელი და ხელაწეული წარმადგინა მაყურებლის წინაშე. ეს დღე ჩემს სიცოცხლეში არასდროს დამვიწყნია",— იგონებდა ევტროფი.

დიდი მსახიობის ეს ჟესტი ხომ თავისებური რეცენზია იყო ევტროფი თალაკვაძის, როგორც. მსახიობ-შემსრულებლისათვის, რაც იმაზე მეტყველებდა, თუ რა მადლიანი ნიჭისა და უნარის მქონე მსახიობი იყო იგი. ბაქოს თეატრში გატარებულმა წლებმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა ევტროფი თალაკვაძის, როგორც მსახიობის შემოქმედებითი კრედო.

1917 წლის ბობოქარი დღეებია, ბაქოში მძვინვარებს სომეხ და თათარ ერთა შორის შუღლი, არ ისვენებენ მუსავატელებისა და დაშნაკელების დამქაშები, ჩაღდება უდანაშაულო ხალხთა ხოცვა-ჟლეტა. ევტროფი იძულებულია დატოვოს ბაქო.

1918 წლიდან იგი უკვე თბილისში გადმოდის და მუშაობას იწყებს ზუბალაშვილის სახალხო სახლში, სადაც წარმოდგენებს დგამდნენ ცნობილი ქართველი მსახიობები ნიკო გოცირიძე და ვანო ბარველი.

ევტროფი სახალხო სახლის წამყვანი მსახიობია, ზედიზედ ასრულებს საპასუხისმგებლო როლებს პიესებში — „პატიმარი № 21 ჯვრით" — კოვზირიძე, „კაი გრაკხი" — კაი გრაკხი, „ქრისტინე" — დათია, „ალლუმი" — ექიმი, „მორევი" — კოტე გრეხილაძე და სხვა. „წარმოდგენა „მორევი" იმითაც იყო ალსანიშნავი, — იგონებს ევტროფი — რომ ტრიფონის როლს ჩვენი სასიქადულო მსახიობი აკაკი ხორავა ასრულებდა".

1919 წლის № 12 ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" მალალ

შეფასებას აძლევს ევტროფი თალაკვაძის 20 წლის სასცენო მოღვაწეობას და დასძენს, რომ იგი მიწვეულია ავჭალის აუდიტორიის რეჟისორად.

ავჭალის აუდიტორიაში ევტროფი მთელი გატაცებით მუშაობს, როგორც რეჟისორი და მსახიობი. დგამს წარმოდგენებს „ოთხი იმერელი", „ქრისტინე", „არსენა", „არშინ მალალან", „აშენდა საქართველო" და სხვა. ევტროფის მოღვაწეობა ავჭალის აუდიტორიაში იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ცალკეულ წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად იწვევდნენ ცნობილ ქართველ მსახიობებს ნიკო გოცირიძეს და სხვებს.

დიდი ოქტომბრის მზის ამობრწყინებას საქართველოში ევტროფი თბილისში შეხვდა. იგი ამ დროს მოძრავ დასშია, რომელსაც ცნობილი მსახიობი, მწერალი და დრამატურგი შალვა დადიანი ხელმძღვანელობს — „დავდიოდით თბილისის სხვადასხვა რაიონებში და წარმოდგენებს ვმართავდით" — იგონებდა ევტროფი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე დიდი ყურადღება ექცევა სამხედრო ნაწილებში მხატვრული ღონისძიებების ჩატარების საქმეს და ამ მიზნით სრულიად უსასყიდლოდ, საზოგადოებრივი დატვირთვის წესით, ავალებენ ევტროფის, გრიგოლ მიქელაძესთან ერთად, ჯარის ნაწილებში წარმოდგენების მოწყობას და ინსტრუქტირებას. ამ დავალებას ევტროფი დიდი პასუხისმგებლობით და ენთუზიაზმით ასრულებს. დასი სხვადასხვა რაიონებში მდგარ სამხედრო ნაწილებში დგამს წარმოდგენებს და ინსტრუქტაჟს უწევს მოქმედ დრამატულ წრეებს.

1922 წლამდე ევტროფი თბილისში მოღვაწეობს. 1922 წელს კი მთავარპოლიტსამმართველოს დავალებით იგზავნება

ოზურგეთის მაზრაში არსებული თეატრების მდგომარეობის შესასწავლად. სათანადო მივლინება-მანდატით იგი ჩადის ოზურგეთში (მახარაძე), სწავლობს თეატრის მდგომარეობას და ზემდგომ ორგანოებში ადგენს მოხსენებით ბარათს, რის შედეგად მთავრობისაგან გარკვეულ თანხას იღებს თეატრის შენობის შესაკეთებლად და მოსაწყობად.

დავალება შესრულებულია. ევტროფის გული კვლავ თბილისისაკენ მიუწევს, მაგრამ ძმების დაკარგვით ოჯახს დიდი უბედურება დასტეხია თავს. სიღარიბითა და მწუხარებით შეპყრობილ მშობლებს უნუგეშოდ ვერ სტოვებს ევტროფი და იძულებულია დარჩეს ოზურგეთში (მახარაძე).

გურიის სამაზრო ქალაქი ოზურგეთი 1922 წელს საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული. მოსახლეობის რაოდენობა რვა ათას კაცს აღწევდა.

ქალაქში 6 დაწყებითი სკოლა იყო, ერთი გიმნაზია, წიგნთსაცავ-ბიბლიოთეკა, ერთი წიგნის მაღაზია, თეატრი, რომლის შენობა გერმანე გოგიტიძეს ეკუთვნოდა, სადაც კინოსურათებსაც უჩვენებდნენ. შემდეგში გ. გოგიტიძემ აღნიშნული შენობა უსასყიდლოდ გადასცა თეატრს. (შენობა იდგა იქ, სადაც ამჟამად სასტუმრო „გურია“ არის).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ისე როგორც მთელი ქართველი ხალხის, ასევე ქართული თეატრის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საშუალება მიეცა ოზურგეთის (ახლა მახარაძე) თეატრსაც და 1921 წლის დეკემბერში ჯერ სოსო ჟივიძის (საქ. სსრ დამსახურებული არტისტი) და შემდეგ ვიქტორ ნინიძის (საქ. სსრ სახალხო არტისტი) ხელმძღვანე-

ლობით მუშაობა დაიწყო მუდმივ მოქმედმა თეატრმა, რომლის გარშემო ადგილობრივმა ნიჭიერმა ძალებმა მოიყარეს თავი.

1922 წლიდან მივიდა მახარაძის (ოზურგეთის) თეატრში ევტროფი თალაკვაძე. მისი სახით თეატრს შეემატა ნიჭიერი, უკვე გამოცდილი და საცენო ხელოვნებას დაუფლებული მსახიობი, — რამაც, უდაოდ, თავისებურად გამოაცოცხლა მაშინდელი დასის შემოქმედებითი ცხოვრება.

ევტროფი თალაკვაძემ მახარაძის თეატრში გაატარა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ნახევარზე მეტი. 25 წლის მანძილზე ასამდე დიდი თუ პატარა როლი განასახიერა და ღრმა კვალი დატოვა თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში.

იმ დღიდან, როცა პირველად შედგა ფეხი სცენაზე, ევტროფი თალაკვაძისათვის, როგორც შემოქმედისათვის, უპირველეს ამოცანას შეადგენდა ღრმად ჩაწვდომოდა გასახსახიერებელი ადამიანს სულს, ჩაეხედა მის სიღრმეში, სიმართლით გადმოეცა არა მარტო მისი გარეგნული სახე, მისი თვისებები, არამედ გაეხსნა მისი შინაგანი ბუნება. იგი ყველა როლს, დიდი იყო ის თუ პატარა, ასრულებდა პოეტური ალმაფრენით და მხატვრული გააზრებით. მის სადა, საოცრად უბრალო, მაგრამ მხატვრული ფერებით შესრულებულ სახეებს არ შეიძლება მნახველი მაყურებელი მაშინვე არ მოეხიბლა და მოეჯადოებინა. სამოცი წლის მოღვაწეობის მანძილზე მას არასდროს არ უღალატნია მკვიდრი რეალისტური შემოქმედებისათვის და მუდამ ეჯავრებოდა პირობითობა, სტილიზაცია, გარეგნული ეფექტური ხერხები.

მახარაძის სახელმწიფო თეატრში ევტროფის მიერ შექმნილი სახეებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მანუჩარი — პოლიკარპე კაკაბაძის კომედიაში „კოლმეურნის ქორ-

წინება". გარდასახვის იშვიათ ოსტატობას ავლენდა მსახიობი ხსენებულ როლში. ცრემლის მოგვრამდე სასაცილო მდგომარეობაში აყენებდა თავის გმირს ევტროფი — მანუჩარისა და ხახულის ცნობილ დიალოგში. აქ მან წინ წამოსწია და ხაზი გაუსვა მანუჩარის უსაფუძვლო სიამაყეს. ახალმა ცხოვრებამ ხომ ნიადაგი გამოაცალა თავადაზნაურთა სამყაროს, მხოლოდ კუდაბზიკობა, დარდიმანდობა და კვიმატი ენა შერჩა ე. თალაკვაძის მანუჩარს. სიამაყესთან ერთად თავისებური ეშმაკობის ნიღაბსაც აფარებს მსახიობი მანუჩარს, მან იცის სად, ვისთან რა თქვას, რა სჭირდება, რა მოუხდება მის მდგომარეობას, როგორ გამოიყენოს დრო და ადამიანები. ღრმა ცინიზმით და სარკაზმით ამბობდა ევტროფის მანუჩარი — „კაცო, აქ ჩემ ვაეს ამას ასწავლი, ხე გაახარე და მამა გაახმეო?" ან კიდევ „მე ხმას პურ-მარილი მაძლევდა, თორემ, პატეფონი კი არა ვარ, გულზე ნემსის დარჭობით ავკიკინდე", — წარმოსთქვამდა ევტროფი-მანუჩარი და დარბაზში დიდხანს არ წყდებოდა სიცილი და ტაში.

1954 წელს მახარაძის თეატრმა ხარიტონის როლის შემსრულებლად მიიწვია საქ. სსრ სახალხო არტისტი, აწ განსვენებული გიორგი შავგულიძე. ალბად, მახარაძის მაყურებელს დიდხანს ემახსოვრება იმდამინდელი წარმოდგენა, რომელშიც ბრწყინავდა განუმეორებელი ხარიტონი — გ. შავგულიძე და შესანიშნავი მანუჩარი — ევტროფი თალაკვაძე. სპექტაკლის შემდეგ გ. შავგულიძე, — ეს უნიჭიერესი შემოქმედი, მოეხვია ევტროფის და უთხრა — „ბატონო ევტროფი, გამეგო, რომ მანუჩარის კარგი შემსრულებელი იყავით, — გნახეთ და დავრწმუნდი, რომ ასეა, ნამდვილად დიდებული ხართ".

ევტროფის მრავალი ბრწყინვალე სახე შეუქმნია დასავლეთ

ევროპის, თუ რუსულ კლასიკურ პიესებში, მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი შმაგა ოსტროვსკის „უდანაშაულო — დამნაშავენში“.

ევტროფის შმაგა ეს არის სოციალური უკულმართობის შედეგად სულიერ და ეკონომიურ სიღატაკემდე მისული ადამიანი, რომელიც ცხოვრებას ისე დაუჩაგრავს, რომ იდეალად მხოლოდ გამოთრობა გადაქცევია. ღრმად ჩამაფიქრებლად, განსაკუთრებული ხაზგასმით ამბობდა ევტროფი — შმაგა „არის ცხოვრებაში წუთი როცა გატყორცნილი ისარივით მიჰქრი მიზნისაკენ... მაშინ, როდესაც დანა-ჩანგალი ახმაურდება და დაიძახებენ: საუზმე მზად არისო“.

როცა ფხიზელია, ევტროფი-შმაგასათვის, ყველაფერი სულელურად გამოიყურება ამ ქვეყნად — თვით მთვარეც კი, ხოლო როცა გამოთვრება, ყველაფერი ჭკვიანურ ელფერს იღებს.

ღრმა, სოციალურად მძაფრი სახეა ევტროფის მიერ შექმნილი შმაგა. მან კიდევ უფრო გაამდიდრა მის მიერ შექმნილ სახეთა გალერეა.

მსახიობის შემოქმედებით ლაბირინთში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს ყვარყვარეს სახეს პოლიკარპე კაკაბაძის კომედიაში „ყვარყვარე თუთაბერი“. მისი ყვარყვარე სცენის ოსტატის მიერ მკაფიო ფერებით გამოკვეთილი პორტრეტია. იგი უსუსურია გასაჭირის ჟამს და არნახულად უტიფარი მისთვის ხელსაყრელ მომენტში.

საოცრად სასაცილო იყო ევტროფი-ყვარყვარე მეორე მოქმედებაში, როცა არმიის შტაბის საიდუმლო განყოფილებაში მას რევოლუციონერად ღებულობენ. იგი თავგამოდებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ შეცდომით არის დაპატიმრებუ-

ლი, რომ სრულიად უდანაშაულოა. შიშით აკანკალებული, ძრწოლვით ამბობდა — „მაშ არაფერს დამიჯერებ? მალრჩობ მართალ კაცს?“. მაგრამ როცა მისთვის ხელსაყრელი მომენტი დადგა, რა თავხედური უტიფრობით ეუბნებოდა იგი გამომძიებელს— „მერე ჩემი თავგანწირვა“... ჩემი ამოდენა თავის დადება და ამაგი?“.

ე. თალაკვაძე ფართო დიაპაზონის მსახიობი იყო. იგი ერთი ძალით და გატაცებით ასრულებდა როგორც კომედიურ, ისე დრამატულ როლებს. მსახიობი რამდენადაც კომედიური იყო ყვარყვარეში, იმდენად ტრაგიკული იყო ა. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“.

„ხევისბერ გოჩაში“ — ევტროფი გვიხატავდა კეთილშობილური ჰუმანიზმით აღსავსე მტკიცე, გაუტეხელ, მგზნებარე პატრიოტს. იგი გვიხატავდა ადამიანს, თემის მეთაურს, რომელიც მშვიდობიან ცხოვრებაში, სახალხო დღესასწაულებში, ყოველდღიურ ჭირსა თუ ლხინში, ხალხთან არის, ხოლო საომარ მდგომარეობაში ხალხის ბელადი და სარდალია.

ზომიერი, მაგრამ მეტად შთამბეჭდავი და ამაღელვებელი იყო ევტროფის გოჩა — ონისესთან საუბრის დროს, როცა ხევისბერი თავის ერთადერთ შვილს ბრძოლის ველზე ისტუმრებს — „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ“, იტყოდა იგი მტკიცედ და გულში ჩამწვდომად.

უდიდესი ექსპრესიით, შინაგანი დაძაბულობით ატარებდა ფინალურ სცენას, როცა შვილის საქციელით აღშფოთებული ხევისბერი არ ინდობს ხალხის მიერ შეწყნარებულ ონისეს და საკუთარი ხელით განგმირავს. შვილის სიკვდილის ტრაგედიით სიგიჟემდე მისული ხევისბერი-ევტროფი წამით ყუჩდებოდა, შემდეგ შემაზრზენი სიცილით გადაიხარხარებდა, ისევ წამით

იყუჩებდა — ტუჩზე ხელს მიიდებდა „სუ, სძინავს, არ გაალვიძოთო“; — იტყოდა ცრემლნარევი გიჟის თვალებით. შემდეგ თითქოს გონს მოვიდოდა, შვილის ცხედარს დააკვდებოდა „ონისეს“ ძახილით და წამით გაირინდებოდა — მუჭის ოდენად გადაიქცეოდა ეს ბრგე ვაჟკაცი და „ონისეს“ ჩურჩულით სტოვებდა სცენას, ხოლო დარბაზში — გულადუღებულ, აცრემლებულ მაყურებელს.

უცნაურია მსახიობის ბედი (სხვა შემოქმედთაგან განსხვავებით). მის სიკვდილთან ერთად ჰქრება მისი შემოქმედებაც, რადგან იგი შემოქმედია მხოლოდ მაყურებელთან კონტაქტში. ამიტომ ძნელია მკითხველის თვალწინ გააცოცხლო მსახიობის შემოქმედება, მისი ხელოვნების ზემოქმედების ძალა. რადგან კალამი უძლურია გადმოსცეს მსახიობის საშემსრულებლო ნიუანსები — ხმა, დიქცია, ჟესტი, მიმიკა.

რაც უფრო დიდია მსახიობი, მით უფრო სავალალოა მისი ბედი ამ მიმართებით. იგი მხოლოდ თანამედროვეთათვის არის მისაღები და გასაგები — შემდეგ კი მასზე მხოლოდღა მოგონებები რჩება თაობებს და ისიც მკრთალი.

ამ მხრივ გამონაკლისი არ არის ევტროფი თალაკვაძეც — ძნელია გადმოსცე და გააცოცხლო მისი საშემსრულებლო ოსტატობა, სცენური გარეგნობა, ხმა, დიქცია, ჟესტი, მიმიკა — ცხოვრებაში მშვიდი და დინჯი, სცენაზე ბობოქარი და შემართებული, ენამახვილი და ოხუნჯი — ცხოვრებაში, სცენაზე—იუმორითა და სარკაზმით სავსე. მას ხომ შესანიშნავი სასიმღერო ხმა ჰქონდა. თავის დროზე იგი ჰაჯიბეკოვის ოპერეტა „არშინ მალ-ალანში“ ასკარას როლის საუკეთესო შემსრულებლად ითვლებოდა. ამაში მას ხელს უწყობდა მშვენიერი გარეგნობა და გულში ჩამწვდომი დრამატული ტენორი.

უკვე მოხუცი ევტროფი სინანულით იგონებდა, რომ „ბაქოში მუშაობის დროს ფულს მიგროვებდნენ, რათა იტალიაში წავსულიყავი ხმის დასამუშავებლად, მაგრამ ჩემი ახალგაზრდული სიბრიყვის გამო უარი ვთქვი და ამის მიზეზი ერთი ცქრიალა ქალი იყო, რომელიც გატაცებით მიყვარდა და მეგონა, იტალიაში წასვლით, მის სიყვარულს დავკარგავდი".

ის ქალი არ გამხდარა ევტროფის ცხოვრების თანამგზავრი. მან თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა მეტად მშვენიერ და განათლებულ ქართველ ქალს, ნინო გრეკოვას, რომელთანაც სამი ვაჟი შეეძინა. უფროსი კლავდიუსი, შუათანა ჯიბო და უმცროსი ოთარი.

თავდავიწყებით იყო რა შეყვარებული ევტროფი თეატრზე, შვილებსაც თეატრისადმი სიყვარული და თავდადება შთაუნერგა.

უფროსი შვილი კლავდიუსი საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მახარაძის სახელმწიფო თეატრში შედის დამწყებ მსახიობად, სადაც მალე წინაურდება საუკეთესო სცენური გარეგნობისა და ნიჭის წყალობით და ზედიზედ რამდენიმე საპასუხისმგებლო როლს ასრულებს. სრულიად ახალგაზრდა 24 წლის ასაკში დაიფერფლა კლავდიუსი და მახარაძის საზოგადოებაში, თეატრის კოლექტივში და ოჯახში ღრმა მწუხარება დასტოვა. უფროსი შვილის დაკარგვამ უცბად მოტეხა და მოახუცა ევტროფი.

შუათანა შვილი — ჯიბო თალაკვაძე თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის წამყვანი მსახიობია.

უმცროსმა შვილმა ოთარმა 1952 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი სარეჟისორო გან-

ხრით და წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მახარაძის სახელმწიფო თეატრს, როგორც მთავარი რეჟისორი. ამჟამად საქართველოს ტელესტუდიის მთავარი რეჟისორია.

ასეთი დიდი ხარკი გადაუხადა ევტროფი თალაკვაძემ და მისმა ოჯახმა ქართულ თეატრს.

ევტროფი, როგორც მსახიობი, მეტად მომთხოვნი იყო თავის თავისადმი. 1957 წლის ერთ დღეს სცენაზე როლის შესრულებისას სიტყვა დაავიწყდა ევტროფის და ძლივს მოიგონა მოკარნახის დახმარებით. წარმოდგენის დამთავრებისთანავე დაწერა განცხადება და თეატრიდან განთავისუფლება ითხოვა. როცა მას უთხრეს—„ბატონო ევტროფი, რატომ მიდიხართ სცენიდან, ჯერ ხომ კიდევ შეგიძლიათ მუშაობა. მან უპასუხა—„არა, შვილებო, მსახიობი როცა წაიჩოქებს სცენაზე, უნდა დატოვოს სცენა, სანამ მთლად არ დაცემულაო“ — და დატოვა თეატრი. მიუხედავად მრავალი თხოვნისა შემდგომში ფეხი აღარ შეუდგამს მისთვის საყვარელ სცენაზე.

ევტროფის ძალიან უყვარდა და პატივს სცემდა ახალგაზრდობას, აძლევდა მათ რჩევა-დარიგებას. განსაკუთრებული ფხრუნველობით ეჭცეოდა დამწყებ მსახიობს, რომელსაც პირველი როლის შესრულება უხდებოდა, ამხნევებდა მას, ეხმარებოდა გრიმისა და ტანსაცმლის შერჩევაში და სხვა. პირადი მოქმედებით ხომ თეატრისადმი მოკრძალებისა და თავდადების მაგალითი იყო ახალგაზრდობისათვის.

ევტროფი თალაკვაძის ესოდენ დიდი ღვაწლი სათანადოდ დააფასა პარტიამ და მთავრობამ და 1950 წელს, ქართული თეატრის აღორძინების 100 წლის თავზე, იგი დაჯილდოებული იქნა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, ხოლო

1955 წელს მას მიენიჭა საქ. სსრ დამსახურებული არტისტის წოდება.

1964 წლის 14 ნოემბერს 83 წლის ასაკში სამუდამოდ შეწყდა ამ სპეტაკი და ნიჭიერი შემოქმედის გულისცემა.

მადლიერმა საზოგადოებამ დიდი მწუხარებით გაასვენა იგი მახარაძის თეატრის შენობიდან და უფროსი შვილის კლავდიუსის გვერდით მიაბარა მშობლიურ მიწას.

ასე დაეშვა ამ თავდადებული, უპრეტენზიო, მაგრამ მაღალნიჭიერი მსახიობის ცხოვრების ფარდა.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ევტროფი ელიზბარის ძე თალაკვაძე მაყურებელთა ფართო აუდიტორიისათვის უცნობია, მაგრამ მისი ცხოვრება რომ სხვაგვარად წარმართულიყო, იგი რომ დედაქალაქის სცენაზე დარჩენილიყო სამოღვაწეოდ, მისი ნიჭისა და თეატრისადმი უანგარო სიყვარულის წყალობით, დღეს მისი სახელი ქართული თეატრის მოღვაწე კორიფეების გვერდით მოიხსენიებოდა.

საქართველოს დამსახურებული არტისტის ევტროფი ელიზბარის ძე თალაკვაძის როლების არასრული სია

№ რიგ.	ავტორები	პიესის დასახელება	შესრულებული როლი
1.	ვ. გუნია	„და-ძმა“	ოტია ჯოლია
2.	ა. წერეთელი	„პატარა კახი“	პატარა კახი
3.	დ. კლდიაშვილი	„ირინეს ბედნიერება“	ფილიპე
4.	იბსენი	„ექიმი შტოკმანი“	ასლავსენი
5.	დ. მესხი	„ადამი და ევა“	ივანიკა
6.	პ. ირეთელი	„დამარცხებულნი“	ნიკო ბერდიაშვილი
7.	ა. ცაგარელი	„პრიკაშჩიკი შკაფში“ (ოინბაზი)	პრიკაშჩიკი
8.	ა. ცაგარელი	„ლეკის ქალი გულჯავარი“	ზურაბი
9.	ა. დენერი	„პარიზის ღარიბ-ღატაკნი“	პოლბერნი
10.	ნ. გოგოლი	„შეშლილის წერილები“	შეშლილი
11.	ზ. ანტონოვი	„ქოროღლი“	ქოროღლი
12.	ტრ. რამიშვილი	„მეზობლები“	მენაბდიშვილი
13.	დ. აწყურელი	„ორი მშიერი“	დანტე
14.	დ. მესხი	„ოთხი იმერელი“	ტრიფონი
15.	ივ. გომართელი	„ქოხში“	გულიაშვილი
16.	ალ. ყაზბეგი	„არსენა“	არსენა
17.	გ. სუნდუკიანცი	„პეპო“	პეპო
18.	მ. გერბიდონი	„მალაროს უფროსი მუშა“	ილფელდი
19.	ნ., ნაკაშიძე	„ვინ არის დამნაშავე!“	სიკო
20.	პ. ირეთელი	„ქრისტინე“	იასონი
21.	ს. ჭანტურიშვილი	„მორევში“	კოტე
22.	ა. ცაგარელი	„ციმბირელი“	ციმბირელი
23.	ა. ცაგარელი	„ხანუმა“	კოტე

№ რიგ.	ავტორები	პიესის დასახელება	შესრულებული როლი
24.	ა. წერეთელი	„თამარ ცბიერი“	მეფე
25.	პ. ირეთელი	„სოფლის გმირები“	ტაოელი
26.	გ. ერისთავი	„გაყრა“	ყარამანი
27.	ნ. აზიანი	„ფული და ხარისხი“	კნიაზ კოწია
28.	კ. ფოცხვერაშვილი	„აშენდა საქართველო“	ივანიკა
29.	დ. ერისთავი	„საშშობლო“	ხიმშიაშვილი
30.	ე. ჩირიკოვი	„ებრაელები“	რებლეიზ
31.	შ. დადიანი	„ბატონი და ყმა“	გაბრო
32.	ივ. გომართელი	„ქოხში“	დომენტი
33.	ვ. მოწტი	„კაი გრაკხი“	ოპიმი, კაი გრაკხი
34.	ე. ვილდენბრუხი	„ქოჩრიანი ტოროლა“	ქარხნის მუშა
35.	ია ეკალაძე	„პატიმარი № 21 ჯვრით“	კოვზირიძე
36.	ვ. გუნია	„აღლუმი“	ექიმი
37.	უ. ჰაჯიბეკოვი	„არშინ მალ-ალან“	ასკარი
38.	ა. ბეიერლეონი	„სამხედრო ბახაკში“	გელბიტი
39.	ენგელო	„ზღვასთან“	მეთევზე
40.	უ. ჰაჯიბეკოვი	„მაშტიბად“	მოშაირე
41.	ვ. შალიკაშვილი	„გადაჭრილი მუხა“	მოშაირე
42.	ა. სუმბათაშვილი-იუჟინი	„ღალატი“	ოთარ ბეგი
43.	სოფოკლე	„ოიდიპოსი“	ტირეზია
44.	მიხ. ჯავახიშვილი	„არსენა მარაბდელი“	ნათლიმამა
45.	ს. მთვარაძე	„სურამის ციხე“	ხუცია
46.	ა. კორნეიჩუკი	„პლატონ კრეჩეტი“	ბუბლიკი
47.	ი. ვაკელი	„აპრაკუნე ჭიმჭიმელი“	აპრაკუნე
48.	გ. ნახუცრიშვილი, ბ. გამრეკელი	„ნაცარქექია“	თომა
49.	გ. მდივანი	„ბრმა“	ინკ. ფაინცერი

№	რიგ.	ავტორები	პიესის დასახელება	შესრულებული როლი
50.		გ. მდივანი	„სამშობლო“	ხუსეინი
51.		დ. კლდიაშვილი	„სამანიშვილის დედინაცვალი“	ბეკინა
52.		აქვ. ცაგარელი	„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“	ფიჩხულა
53.		გ. გორდაძე	„შხამიანი გველები“	გიორგი
54.		მ. გედევანიშვილი	„მსხვერპლი“	მამასახლისი
55.		მიხ. ჯაფარიძე	„ქამთაბერის ასული“	მამუკა
56.		გ. შატბერაშვილი	„რკინის პერანგი“	ბექა
57.		გ. ქელბაქიანი	„გამოცდები“	მაიორი
58.		გ. ქელბაქიანი	„დაგვიანებული სინანული“	გიორგი
59.		ს. კლდიაშვილი	„გმირთა თაობა“	გეგელია
60.		პ. კაკაბაძე	„ყვარყვარე თუთაბერი“	ყვარყვარე
61.		ძმები ტურები და შეინინი	„გენერალური კონსული“	გუბერნატორი
62.		პ. კაკაბაძე	„კოლმეურნის ქორწინება“	მანუჩარი
63.		ვ. გაბესკირია	„მათი ამბავი“	პროფესორი
64.		ა. ოსტროვსკი	„უდანაშაულო დამნაშავენი“	შმაგა
65.		შ. დადიანი	„გუშინდელნი“	პაპუნა
66.		ი. მოსაშვილი	„სადგურის უფროსი“	სადგურის უფროსი
67.		გ. ნახუცრიშვილი	„კომბლე“	ფიცილა
68.		ალ. ყაზბეგი	„ხევისბერი გოჩა“	ხევისბერი
69.		გოე და დიუსო	„ღრმა ფესვები“	სენატორი
70.		გ. წერეთელი	„პირველი ნაბიჯი“	ივან ივანიჩი
71.		ძმები ტურები და შეინინი	„ვის ემორჩილება დრო“	როგე
72.		გრ. ბერძენიშვილი	„სიყვარულის ძალა“	ყარამანი
73.		ი. მოსაშვილი	„ჩაძირული ქვები“	ბეჟან აღა
74.		გრ. ბერძენიშვილი	„მშვიდობის მტრედები“	იუსუფ აღა
75.		კ. ბუაჩიძე	„ფაქიზი განცდები“	გორდევან

№ რიგ.	ავტორები	პიესის დასახელება	შესრულებული როლი
76.	მიხაილოვი და სამოილოვი	„ფარული ომი“	ზაიჩიკოვი
77.	ვაჟა ფშაველა	„მოკვეთილი“	ჭუჭა
78.	ალ. ყაზბეგი	„ელეონორა“	იზმაილ ბეგი
79.	ნ. კიკვაძე	„ღირსეული მეუღლე“	გიორგი
80.	მიხ. ჯაფარიძე	„მძახლები“	მელიტონი
81.	ა. წერეთელი	„ბაში აჩუკი“	ჯანდიერი
82.	შ. დადიანი	„ნაპერწკლიდან“	ნესტორი
83.	გ. ნახუცრიშვილი, ბ. გამრეკელი	„ლადო კეცხოველი“	ნიბელაშვილი
84.	ვ. პატარაია	„მელია და მისი კუდი“	ერასტი
85.	ივ. ვასილიევი	„ამქვეყნიური სამოთხე“	ვიტან ლაზარიევიჩი
86.	კ. ბუაჩიძე	„მკაცრი ქალიშვილები“	ივანე
87.	ვალ. კანდელაკი	„სარეველა“	ანტიფო
88.	ვალ. კანდელაკი	„მაია წყნეთელი“	მაიას მამა

Бежан Накаидзе
Евтрофи Талаквадзе
(На грузинском языке)

რედაქტორი ა. დვალიშვილი
მხატვრები: ნ. მალაზონია, დ. დუნდუა
ტექრედაქტორი თ. რამიშვილი
კორექტორი ჟ. ახვლედიანი

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს რეკლამების გამომშვები და
თეატრალურ სანახაობითი დაწესებულებების ბილეთების
გამავრცელებელი დირექციის გამოცემა
თბილისი, რუსთაველის პრ. № 44, ტ. 93-56-34

Издания дирекции по выпуску реклам и распространение
билетов театрально-зрелищных учреждений
министерства культуры Груз. ССР

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/IV-68 წ.
ქაღალდის ზომა 70×90¹/₃₂. ნაბეჭდი თაბახი 1,5.

ფასი 14 კაპ.

შეკ. 879 უე 09575 ტირ. 1000

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სტამბა
თბილისი, გორკის ქ. № 3

39/132